

დეპოზიტების ფორმირება საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების ეფექტურ და მდგრად ფუნქციონირებაზე, იმ ფაქტორების ანალიზი რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოში, სადაც ფინანსური სისტემა ძირითადად საბანკო სექტორითაა წარმოდგენილი, მთელი ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელის ლიკვიდურობაზე. საბანკო სექტორის ლიკვიდურობის ძირითადი წყარო კი თავის მხრივ დეპოზიტებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების დეპოზიტების ფორმირებაზე გავლენის შესწავლა ძალზედ მნიშვნელოვანი და აქტუალურია; თუმცა, საქართველოში ამ მიმართულებით ანალიზი აქამდე არ ჩატარებულა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამ ნაშრომის მიზანია, საქარველოს კომერციულ ბანკებში დეპოზიტების ფორმირების ანალიზი 1996-2008 წლებში.

ამ ნაშრომში დეპოზიტები განმარტებულია როგორც რეალურ ფულის მასასა და მიმოქცევაში არსებულ ეროვნულ ვალუტას შორის სხვაობა. ამ განმარტებიდან გამომდინარე, საქართველოში დეპოზიტების ფორმირებაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორების გამოვლენა და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელთა ანალიზი სამ ეტაპად განხორციელდა:

პირველ ეტაპზე, იოჰანსენის მეთოდის გამოყენებით მოხდა ფართო ფულზე მოთხოვნის შეფასება. მეორე ეტაპზე, იგივე მეთოდის გამოყენებით მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის დეპოზიტებთან ფარდობის განტოლების შეფასება. ბოლო ეტაპზე კი რეალური დეპოზიტების მოდელის შექმნა და წინა ეტაპებზე მიღებული შედეგების გამოყენებით დეპოზიტების ფორმირებაზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენა.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს რომ რეალური მშპ, დეპოზიტებზე ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და ფინანსურ სექტორში წინსვლა დადებით, ხოლო ინფლაცია და ფარული ეკონომიკა უარყოფითად მოქმედებს დეპოზიტების ფორმირებაზე საქართველოში.